ხელშეკრულება N 11
სამონტაჟო სამუშაოების შესრულების შესახებ

თეთრიწყარო

31 იანვარი 2018 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სს „საქორგგაზის" რწმუნებული პირი შპს „სოკარ ჯორჯია გაზი"-ს აღმოსავლეთის რეგიონული ოფისის ბოლნისი-დმანისი-თეთრიწყაროს სერვის ცენტრის მენეჯერის, მამუკა გოცირიძეს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), და მეორეს მხრივ ააიპ „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი" ქ.თეთრიწყარო, ჭავჭავაძის ქუჩა (ს/კ 230869539) (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის, ნატალია ბეგიაშვილის სახით, შეკთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებელის" მიერ „შემსყიდველისათვის" **დ-20 3გ/მ; დ-25 6მ/გ** ლითონის მილით (CPV-44161110) გაზის გამანაწილებელი ქსელის მოწყობა.

1.2 „მიმწოდებელი" ვალდებულება უნდა შეასრულოს 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

1.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ადგილი: ქ.თეთრიწყარო ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, შენობის გაზმომარაგება (შიდა ქსელი)

2. მხარეთა უფლება მოვალეობები

2.1 „დამკვეთი" და „შემსრულებელი" ვალდებული არიან დაიცვან მოქმედი კანონმდებლობით, დადგენილი მოთხოვნები და შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად, ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. ინსპექტირებას განახორციელებს ცენტრის დირექტორი ნატალია ბეგიაშვილი.

3. ანაზღაურების პირობა

3.1 ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისთვის „დამკვეთი" უხდის „შემსრულებელს" სამონტაჟო სამუშაოებისთვის **280,21 ლარს**. არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3.2 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ თანხაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

4. მხარეთ პასუხისმგებლობა

4.1. სამუშაოების ვადაში არ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

4.1.1. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა.

4.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. დავათა განხილვა და გადაწყვეტა

5.1 მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერილს დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 აპრილამდე.

„შემსრულებელი"

სს „საქორგგაზი"
ს/კ 208147637
ს.ს „საქართველოს ბანკის"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშსწ. ნომ. GE51BG0000000233446203

რწმუნებული პირი: მ. გოცირიძე

„დამკვეთი"

ააიპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი
მის: თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ფაქტ. მის: თეთრიწყარო, ჭავჭავაძეს ქ.
ს/კ 230869539
ტელ: 591058783

დირექტორი : ნ. ბეგიაშვილი